აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

ადგილობრივ ვიზიტორთა ბაზრის კვლევა

2016 წ. (იანვარ - მარტი)

დასკვნები და ანალიზი

აჭარის ა.რ. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი
ბათუმი 6010, ფარნავაზ მეფის ქ. 84/86
ელ-ფოსტა: info@gobatumi.com
http://goBatumi.com

სარჩევი

კვლევის მეთოდოლოგია 2

კვლევის შედეგები..... 3

ვიზიტორთა სოციო - დემოგრაფიული პროფილი 5

საშუალო შედეგები..... 6

დანახარჯი 12

კვლევის მეთოდოლოგია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადგილობრივ ვიზიტორთა ბაზრის კვლევა წარმოადგენს საქართველოს შინამეურნეობების კვლევას. აღნიშნული კვლევა ჩატარდა მთელი ქვეყნის მასშტაბით (საქართველოს რეგიონებში და დასახლებულ პუნქტებში) წინასწარ განსაზღვრული შერჩევით. მოცემული სტატისტიკური დაშვებების გათვალისწინებით (95%-იანი სანდოობის დონე, მაქსიმალური ფარდობითი ცდომილება 3-5%) შერჩევის ზომა სრულად უზრუნველყოფს რესპონდენტთა საკმარის რაოდენობას ანალიზისათვის. გარდა ამისა, აღნიშნულ შერჩევას დაემატა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ადგილობრივი შინამეურნეობები ტურიზმის კვლევის ფარგლებში მიღებული მონაცემთა ბაზა. საერთო შერჩევაში მიმდინარე კვარტლისთვის საქსტატის გამოკითხულ რესპონდენტთა წილი შეადგენს 35.34%.

კვლევის ფარგლებში გამოიკითხა (პირისპირ ინტერვიუს მეთოდით) საქართველოს 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა, რომლებმაც განახორციელეს თავიანთი ვიზიტი აჭარაში.

ძირითადი საკვლევი ინდიკატორები:

1. ტურისტების სოციო - დემოგრაფიული პროფილი
2. აჭარაში მოგზაურობის / დასვენების ძირითადი მიზანი
3. აჭარაში ვიზიტის ხანგრძლივობა
4. აჭარაში გამოყენებული საცხოვრებლის ტიპი
5. აჭარაში ჩამოსასვლელად გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებები
6. ვიზიტის განმავლობაში გაწეული დანახარჯი (დანახარჯების კატეგორიების მიხედვით)
7. ინფორმაციის წყაროები აჭარის ტურისტული ადგილების შესახებ
8. ტურისტთა კმაყოფილება აჭარაში ვიზიტით და სხვა

კვლევის შედეგები

15 წლის და უფროსი ასაკის, საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, ვიზიტორთა მიერ აჭარაში განხორციელებული ტურისტული და ექსკურსიული ვიზიტების საშუალო თვიურმა რაოდენობამ აღნიშნულ პერიოდში შეადგინა 108’991 ვიზიტი. ვიზიტების რაოდენობის განაწილება რეგიონალურ ჭრილში იხილეთ ქვემოთ მოყვანილ დიაგრამაში (დიაგრამა 1).

დიაგრამა 1.



აჭარაში განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა თითქმის თანაბრად გადანაწილდა ტურისტულ (52.70%) და ექსკურსიულ (47.30%) ვიზიტებზე.

დიაგრამა 2.



ხოლო, საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან აჭარის ქალაქებში და სოფლებში განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის უმეტესობა (69.73%) შეადგენს ქალაქებში და მუნიციპალურ ცენტრებში ვიზიტს. ვიზიტების რაოდენობა სოფლად მხოლოდ 30.27% შეადგენს.

15 წლის და უფროსი ასაკის, საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან აჭარის ქალაქებში და მუნიციპალურ ცენტრებში განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის განაწილება						
	I კვარტალი, 2016					
ქალაქი/ მუნიციპალური ცენტრი	**ბათუმი**	**ქობულეთი**	**ხულო**	**გონიო**	**ქედა**	**ხელვაჩაური**
ვიზიტების რ-ბა	82,70%	12,98%	0,93%	0,57%	1,71%	1,11%

ვიზიტორთა სოციო - დემოგრაფიული პროფილი

რესპოდენტის სქესი - გამოკითხულთა უმეტესობა ქალია (56%)

დიაგრამა 3.



დიაგრამა 4.



საშუალო შედეგები

მიმდინარე კვლევის პერიოდში აჭარაში ვიზიტის ძირითადი მიზანი იყო მეგობრების და ნათესავების მონახულება (იხ. დიაგრამა 5,6).

დიაგრამა 5.



დიაგრამა 6.



დიაგრამა 7.


განხორციელებული აქტივობები
ტურისტული ვიზიტისას (%)
მეგობრების/ნათესავების მონახულება 79,4
ზღვაზე/ტბაზე/მდინარეზე ცურვა/სანაპიროზე 21
გასართობ პარკში სტუმრობა 12,6
ადგილობრივი სამზარეულოსა და ღვინის დაგემოვნება 12,2
შოპინგი 9,7
ღირსშესანიშნაობების მონახულება 9,1
სხვა აქტივობა 5,1
ველოსპორტი 3,9
ბუნების/ლანდშაფტების/ნაკრძალების მონახულება 3,6
რელიგიური ადგილების მოლოცვა 3,4
კონცერტზე/ფესტივალზე/გამოფენაზე დასწრება 3,2
ღამის კლუბური ცხოვრება 2,9
აზარტული თამაშები 1,6
სპორტულ ღონისძიებაზე დასწერება 0,9
გამაჯანსაღებელ კურორტზე დასვენება 0,9
ცხენის ჯირითი 0,7
სასოფლო-სამეურნეო აქტივობებში მონაწილეობა 0,4
ადგილობრივი კულტურის გაცნობა 0,3
ნადირობა/თევზაობა 0,2

დიაგრამა 8.



დიაგრამა 9.



როგორც კვლევამ გვიჩვენა, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები ძირითადად ინდივიდუალურად ან ოჯახთან/ნათესავებთან ერთად მოგზაურობდნენ. აჭარას მეგობრებთან ერთან მხოლოდ გამოკითხულთა 10-11% სტუმრობდა.

დიაგრამა 10.



ინფორმაციის წყაროს აჭარაში ვიზიტის დროს მონახულებული ადგილების შესახებ ძირითადად წარმოადგენენ მეგობრები და ნათესავები.

დიაგრამა 11.



დიაგრამა 12.



ვიზიტის ხანგრძლივობა საშუალოდ 2.57 *ღამეს* შეადგენდა, ხოლო გატარებული ღამეების რაოდენობა სხვადასხვა საცხოვრებელი ტიპის მიხედვით იხილეთ ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

ვიზიტის ხანგრძლივობა საცხოვრებელი ტიპის მიხედვით (საშუალო, ერთი ტურისტი)	
	ღამეების რ-ბა
სასტუმრო	**2,65**
საოჯახო ტიპის სასტუმრო, "გესტჰაუსი"	**2,85**
ნაქირავები სახლი, ბინა, ოთახი	**3,23**
საკუთარი მეორე სახლი / ბინა	**2,79**
ნათესავის / მეგობრის ბინა	**3,47**
სამუშაო და დასასვენებელი ბანაკი	**1,66**
საავადმყოფო/სამკურნალო დაწესებულება	**5,85**
საცხოვრებლის სხვა ტიპი	**1,48**

დიაგრამა 13.



ვიზიტორთა უმრავლესობა, მიუხედავად ყველაფრისა, საერთო ჯამში კმაყოფილი დარჩა რეგიონში ვიზიტით ზოგადად კამყოფილია 52.9% (იხ. დიაგრამა 13).

დანახარჯი

საკვლევი პერიოდისათვის, აჭარაში ტურისტის მთლიანი პირადი ხარჯი ვიზიტის სრულ პერიოდზე საშუალოდ შეადგენდა *226,26 ლარს* (იხ. დიაგრამა 14.1), ხოლო ექსკურსანტის მთლიანი დანახარჯი შეადგენდა *77.40 ლარს* (იხ. დიაგრამა 14.2).

დიაგრამა 14.1 [1]



[1] **კომერციული შესყიდვები** - საქონლის შეძენა შემდგომი გაყიდვის მიზნით.

დიაგრამა 14.2